საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1376

ქ. თბილისი "21" 09 2007წ

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირ „საზოგადოებრივი მხარდაჭერის და ეროვნული თვითგანვითარების ქართულ კავშირ (ასოციაცია) „გენეზისი"-ზე ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტისა და „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „კ" ქვეპუნქტის და მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირ „საზოგადოებრივი მხარდაჭერის და ეროვნული თვითგანვითარების ქართულ კავშირ (ასოციაცია) „გენეზისი"-ზე ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია მაიონებელი გამოსხივების იმ მაგენერირებელი მოწყობილობების სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის, რომლებიც არ შეიცავს რადიოაქტიურ წყაროებს ან/და ბირთვულ მასალებს.
2. დაევალოს სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს გასცეს ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისი სალიცენზიო მოწმობა.
3. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირ „საზოგადოებრივი მხარდაჭერის და ეროვნული თვითგანვითარების ქართულ კავშირ (ასოციაცია) „გენეზისი"-ს.
4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ა), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
სავალდებულო
სარ. № 208
27.09.2007

საფუძველი: ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსის გიორგი ცხაკაიას მოხსენებითი ბარათი და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საზოგადოებრივი მხარდაჭერის და ეროვნული თვითგანვითარების ქართული კავშირის (ასოციაცია) „ეროვნული ალიანსი"-ს განცხადება.

დავით ჩანტლაძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო * საქართველოს ეროვნული ბანკი
კანცელარია